- სააგენტოს მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროს ტექნიკური რეგულირება და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. დარგში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნებართვების, სერტიფიკატებისა და დაშვების მოწმობების გაცემა და მათი დაცვის მონიტორინგი. სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საქმიანობის ძირითადი სფეროა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების ცენტრების უზრუნველყოფა, გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიშებით, ამასთანავე, მის ფუნქციებში შედის სატრანსპორტო ბაზრის გამართული და სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა, ეროვნულ გადამზიდველთა და მომმხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

- ხშირად მოგმართავენ თუ არა მგზავრები საჩივრებით?

- მგზავრთა საჩივრების მონაცემთა ბაზა გვაქვს, მაგრამ ის ცარიელია. რადგანაც მგზავრებს ჩვენთვის არ მოუმართავთ, თუმცა ჩვენ გვესმის რომ სატრანსპორტო სფერო მეტად სპეციფიურია და მგზავრებს ხშირად პრობლემებიც ექმნებათ. მოგახსენებთ, თუკი რაიმე დარღვევა გამოვლინდა ან მათი უფლებები დაირღვა, პირველ რიგში, მათ გადამზიდავი თურქული კომპანიის ქართველი პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებს უნდა მიმართონ. სწორედ მათ უნდა გაარკვიონ მოქალაქეთა კერძო საჩივრები. ჩვენ კი ოპერატიული მონიტორინგის უფლება არ გვაქვს.

- როგორ ხდება თქვენს სამმართველოში მგზავრთა საჩივრებისა და პრეტენზიების მონიტორინგი?

- ჩვენ ვახორციელებთ სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართვის მონიტორინგს, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ავარიების მიზეზი ავტობუსის მძღოლები ხდებიან.

როგორც ვხედავთ, ხსენებული საგენტოს ერთ-ერთი მიზანი, მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვაა. ამიტომ, ჩვენი რჩევაა, კანონდარღვევების ან თქვენი უფლებების შელახვის ნებისმიერი ფაქტის დროს, პირველ რიგში, მიმართეთ თურქული კომპანიის პარტნორ ქართველ კომპანიას, ხოლო თუ ისინი ვერ გაგინევენ სათანადო დახმარებას, ოფიციალურად შეიტყობინეთ „სახმელეთი ტრანსპორტის საგენტოს".

მათი რეკვიზიტებია:

სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის საგენტო.

მისამართი: თბილისი,

ვაჟა ფშაველას გამზ. 16

ტელეფონი: 2 51 06 71;

ელ ფოსტა: chancellery @lta.gov.ge

თუკი გსურთ, დარღვევების შესახებ საზოგადოებამ და კონკრეტულმა უწყებამ "Tg life"-ის საშუალებით შეიტყოს, ჩვენ მზად ვართ გავაშუქოთ ისინი. შემდეგ ნომერში ჩვენ შემოგთავაზებთ რედაქციის მიერ ჩატარებულ მონიტორინგს თურქული სატრანსპორტო კომპანიების მუშაობის შესახებ, ასევე, ობიექტურად წარმოგიდგენთ იმ კომპანიებს, რომელის სატრანსპორტო საშუალებებითაც უსაფრთხოდ და კომფორტულად იმგზავრებთ.

ვერგინე შამიანი

TAO – KLARCETİ'NİN GELECEĞİ

(Konu devamı)

-"Bizim kültür mirasımızın, - Oşki ve İşkhani anıtların yenilenmesi konusunda Başbakana teşekür etmek itiyorum. O, Orada Gürcü mimarların çalışabilme konusuna hemen cevap verdi. Biz bizim tarafımızdan, Türk anıtların yeniden tespit edilmesi ve onları korunması konusunda elimizden geleni yapacağız. Genel olarak biz çok iyi arkadaşlık ilişkiyi kurduk ve bunu gelecekte de geliştireceğiz." – diye konuştu basınla yapılan toplantıda Bidzina İvanişvili.

Buna karşılık, Başbakan Erdoğan da "biz kültürel mirasın koruma yönünde Türkiye ve Gürcistan arasında olan kültürel ve insani ilişkilere de değenerek, Türkiye'de bulunan Gürcü Kültürel anıtların yenilenmesi ve restavrasyon konusunu da görüştüklerini altını çizrek vurguladı."

Bu görüşmeden sonra Türkiye'deki Gürcü anıtların rehabilitasyon sürecine Gürcü patrikhanelğin temsilcilerin de dahil olmaları netleşti. Gürcü basında, Gürcistan kültür ve anıtlar koruma bakan yardımcısının Marine Mizandarın, Gürcistan Katolikos – Patrikle yaptığı toplantıdan sonra yapılan açıklama yayınlandı. Sayın Mizandarinin söylediğine göre: İşkhani ve Oşki rehabilitasyon projesinde çalışmalar Türk tarafından başlatılmış bulunuyor. Bizim gazetemizin ilk numarasında tenderi kazanan şirket temsilcilerin açıklamalarını yayınladığımızı hatırlatırız.

-"Finansmanı Türk tarafından geliyordu. Bundan dolayı bu süreçte Gürücü tarafın da finansman bulması daha mantıklı olacağını düşünüyoruz," - diye söyledi Gürcistan kültür bakan yardımcısı. Cami inşaatına gelince de bu konuya Gürcistan'a döndükten sonra yapılan bakanlar kuruluğun toplantı başlamadan önce, dışişler bakanı Sayın Maia Pancikidze değendi. Bunu kültür bakanı da doğruladı.

-"Caminin yapılacağı yer hakkında bilgimiz yok, önemli olan Azizye konusunda anlaşmaya vardık. Şimdilik çekiniyoruz ama, yeni Cami inşa edilecek," diye söyledi Sayın Guram Odişaria.

Şimdilik bu Caminin Aziziye adına mi olacak, yada nerde inşaa edilecek daha kesinleşmedi. Okuyucular için uzmanların ve her iki tarafın dini temsilcilerin görüşleri enteresandır.

Bu konuda gazetemizin adına Elyazmaları enstitüsü müdürü Buba Kudava'dan yorum istedik.

- Bildiğiniz gibi Gürcistan'da İslam kültür anıtlar bulunuyor, gerçeği Tao – Klarceti'de olan Gürcü anıtlar kadar değil ama onlar tartışmaksızın var. Bence Türkler Gürcü anıtlara bakmalı ve Gürcüler de Gürcistan bölgesinde bulunan islami kültür örneklerini bakmalı, bu her iki milletin birbirine karşı hem görevi hem de sorumluluktur.

Daha kapsamlı yayın olmsı için dinin her iki tarafın temsilcilerin pozisyonlarını da sunuyoruz. Gürcistan Müftü Sayın Cemal Paksadze:



ოთხთა / Otkhta

Gazetemizin bir önceki numarasında Tao – Klarceti konusuna geniş çaplı söz ettik ve bu konu hakkında gelcekte de bilgi vereceğimize söz vermiştik. Sizin de iyi bildiğiniz gibi 14 Şubatta Başbakan Bidzina İvanişvili başkanlığı ile Türkiye'ye Gürcistan'dan resmi heyet gitti. Bu görüşmenin hem Gürcü hem de Türk okuyucuğumuzu ilgilendiren konular hakkında bilgi vermeye karar verdik. Her iki ülkenin Başbakanları da Gürcistan – Türkiye arasında olan ilşkilere ve ortaklaşa kararlaştırılacak konulara değendiler.

- Batum'da yeni Camiyi cemaat finanse edecek. Bu Cami ne azizye adına olacak ne de başkası. Bu Gürcü Mimari örneklere göre inşaa edilen Müslüman dua yeri olacak."

Bilindiği gibi Patrikhanelik bu konuda yorum yapmaktan çekiniyor. Böylelikle Gürcistan monarşist birlik başkanı Sameba kilisesinin Diakonu rahip Elizbar Diakonidze'den kendi fikrinin açıklamasını istedik. O bizimle konuşurken:

- "biliyorum ki patrikhanelik Oşki'nin ve Khakuli'nin yıkılmasını istemiyor ama, buna karşılık ne alıyoruz? Türkler burda inşaa edilen Camide dua edecekler ama, Tao – Klarceti'deki Kiliselerde dua ve ayınler yapmaya izin verecekler mi? Oşki'yi ve İşkhani'yi yenilememiz iyi ama, Khakuli ve Atskuri Kiliselerde Cami olduğunu biliyor musunuz?!. Onların İslmi Camilerin çoğalmasını istedikleri gibi, biz de istiyoruz Hristyan ocakların çoğalmasını. Ben Acaralıyım ve Gürcistan'a Hristyanlığın bu bölgeden girdiğini iyi biliyorum. Acara'da Azizye Cami inşaatına karşı yükselen protesto dalgasını hatırlıyor musunuz? Bu protesto başkanlığını Batum metropolit Dimitri ve Skhalta Başpiskopos Serapion yapıyorlardı. Bu da yerli Batum'un kendi görüşünü bu şekilde belirttiği anlamına geliyor. Gürcistan Müftü Sayın Cemal'ın, Batum'da Caminin cemaat tarafından inşaa edileceği fikrine gelince de, - Acarali çiftçinin sıkıntılarını çok iyi biliyorum, onlar kendi eş ve çocuklarını doyuramıyorlar ve Camiyi inşaa edeceği paraları olduğunu zanetmiyorum. Kısacası Gürcistan'da inşaa edilen Müslüman Camilerde dua ettikleri gibi, bize de Türkiye'de bulunan Kilislerde ayın ve dua yapma iznin verilmesi iyi olur." Diye söyledi

Gürcistan ve Türkiye Başbakanların Türkiye'de bulunan Gürcü Kilise – Manastırlarda ayın ve duaların yapılabilme konusunda görüşüp görüşmedikleri hakkında bilgimiz yok.

Tao – Klarceti'yi araştıran tarihçi İrine Giviaşvili "TG Life" gazetesine verdiği ropörtajda: -"Türk tarafı daha 2010 yılında görüşmeleri eski dışişleri bakanı Girgol Vaşadze yönetirken bu isteğimize olumlu yanıt vermişti. O dönemde Türk Taraf Kilise ve Manastırların restavrasyon konusunun karalaştırıldıktan sonra ayın ve duaların yapmaya konusunda da sorun yaşanmayacağını beyan etmişti. Ama o zamana kadar tarihi binalara restavrasyonun yapılması gerekiyor. Bundan sonra da Gürcü cemaatın Oşki ve İşkhani Kiliselerde ayın ve dua yapabilme yönünde de anlaşmanın başarılı şekilde devam edeceğini umuyoruz. Türkiye için Efes'teki Meryem ana kilisesinin ve Mira'daki Nikolozun Kilisesinin olduğu gibi, turizmin genişlemenin bir yolu daha olur, bunları bugün çok sayıda pligrim ziyaret etmektedir."

Bu gazete yayınımız için Batumluların fikirlerini de öğrendik. Batum'da yan yan farklı inanç temsilcileri oturuyorlar, bundan dolayı Tao – Klarceti ve Acara'da yeni Caminin inşaatı hakkında onların fikirleri belki okuyucumuz için enteresandır. Size onalrın fikirlerini yorumsuz sunuyoruz.

Lia Morçiladze Batumlu Ortadoks.

- Lia Hanım! Farklı farklı inançlara sahip Gürcülerle ilişkileriniz nasıl?

- Normal ilişkimiz var. Ben batumlu avluda yaşıyorum, burada komşu olarak farklı inanç sahip Gürcüler var. Farklı dini inançtan dolayı aramızda her hangi bir sorun yaşadığımız hatırlaymıyorum. Dini bayramları birbirimize normal bir şekilde kutluyoruz. Hangi inançа hizmet verdiğimize bakmaksızın birbirimize saygı duyuyoruz. Alah hepimiz için bir değil midir?!. Hristiyan komşular Müslüman Gürcülere Kurban bayramını kutluyorlar, onlar ise bize paskalya ve noyel bayramı kutluyorlar. Ben hristyan olduğum için Kilisede dua ediyorum ve orucu da tutuyorum. Batum'da olduğu gibi, bizim bütün sabahlarımız kahve içerek başlıyor. Bazen onlar bizi kendilerine davet edyorlar, bazen ise biz onları davet ediyoruz, bazen kahve ile Müslüman tatlıyı da ikram ediyorlar, genelikle helvayı.

- Rahibiniz ne düşünüyor Müslüman yemekleri yebilir misiniz?

- Rahibimizle bu konuyu konuştuk ve haç işareti yapıp yebilirsiniz, sorun yok dedi. Müslüman Gürcüler'de Cuma günün ismi Cumadır, bugün onlar dinleniyorlar ve bunu hepimiz biliyoruz, bundan dolayı onları bize davet ediyoruz.

Maguli Tavdgiridze Batumlu Müslüman: Ben Gürcüyüm. Ama inanç olarak Müslimanım, Tabbi ki cahil değilim ülkemin tarihini biliyorum. Müslümanların bizi 300 yıl boyunca yönettiği dönemde vardı, bundan dolayı doğaldır ki benim atalarım inancını değiştirdiler. Benim Hristyan olarak vaftiz olan torunlarım var ama, buna karşı çıkmadım, Hristyan olarak vaftiz olmalarına karşı. Ben bunu yapamadı – dinimi değiştiremedim. Bence tabbiki Cami inşaa edilmeli. Hemde bununla bizim Tao-muzu koruyacaksak! Türkiye'de çok sayda Hristyan anıt bulunuyor ve biz onlara sahip çıkmalıyız. Cami konusuna gelince ise Batum'da Cami var ama, o kadar dua eden var ki, sığamıyorlar. Evlerde olan özel Camileri kast etmiyorum. Sizin cematın Kiliseye sığamadıkları takdirde yeni kiliseyi inşaa etmez miyiniz? Bence Cami Batum'da değil şehir dışında inşaa edilmeli, çünkü hoca duayı megafonda okuyor ve bunla orda yaşayan toplum rahatsız olmamalı. Bundan dolayı tatsızlığın oluşmaması için Caminin şehir dışında inşaa edilmesi daha uygun olurdu.

- Natia Mikheladze: Ben 23 yaşındayım, Batum'da yaşıyorum. Benim atalarım Müslüman inancın hizmetçileridi, ben ise Hristyan olarak vaftiz olmak istiyorum. Onlar buna karşı değiller, çünkü bunun benim tercihim olduğunu düşünüyorlar. Dedem sık sık söyler ki, biz gelenekten Hristyandık, ben ihtiyarım, bundan dolayı artık inancı değiştirmek artık geç, ama sen kalbinin sana söylediği gibi hareket etmelisin, çünkü ahlakın karşısında haklı olmalısın. Tao – Klarceti konusuna gelince de bu yazın Antalya'ya geziye gittim ve Caminin bir yanında eski Hristyan Kilisesi vardı. Kendi gözümle gördüm duadan sonra Camiden çıkan Hoca Kiliseye nasıl girdi ve orayı nasıl toparlayıp temizlediğini. Öğrendiğim kadarı ile o hoca, bu Kiliseye sürekli böyle sahip çıkıyormuş. Onunla konuştuğumda şöyle anlattı: Hristyan misafirler geldiklerinde her zaman buraya getiriyorum. Türistleri buraya kağıt yada başka birşey attıklarında hep uyarıyorum diye söyledi. Bilmiyorum bence bugün en önemli Tao – Klarceti'yi kurtarmak olmalı ve bunun için her şey yapmalıyız.

Tabbi ki bu yayınımızla Tao – Klarceti hakkında konuşmamızı bitirmiyoruz, çünkü bu konuyu gelecekte de yayınlamayı planlıyoruz. Tarafsızılık adına ise yine her iki tarafın da pozisyonunu sunacağımıza söz veriyoruz. Önemli olan ise nihayet işin artık ivme kazanıp ilerlemesidir, sabırla devamedilim ve onurla sonuçlandıralım.

Mzia Gogniaşvili

ბანა/Bana

ტაო-კლარჯეთის მოძავალი

(თემის გაგრძელება)

ოფიციალური შეხვედრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ტაო-კლარჯეთის ისტორიული ძეგლების რესტავრაცია იყო. საქართველოსა და თურქეთის მხარემ კულტურული მემკვიდრეობის ერთობლივ აღდგენაზეც ისაუბრეს.

- ,, მადლობა მინდა გადავუხადო პრემიერს იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც შეხება, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის,- ოშკისა და იშხანის ძეგლების აღდგენას. მან მყისიერად პასუხი გამცა, რომ იქ შეიძლება ქართველი არქიტექტორების დაშვება. ჩვენის მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თურქული ძეგლების აღწერა გავაკეთოთ და მათ მოვლა-პატრონობას შევუწყოთ ხელი. საერთოდ ჩვენ ძალიან მეგობრული ურთიერთობები ჩამოვაყალიბეთ, რომელსაც მომავალშიც განვავითარებთო." -განაცხადა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან საუბარში ბიძინა ივანიშვილმა.

თავის მხრივ პრემიერ მინისტრმა ერდოღანმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ "ჩვენ შევეხეთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით თურქეთსა და საქართველოს შორის არსებულ კულტურულ და ადამიანურ ურთიერთობებსაც, ვისაუბრეთ თურქეთში არსებული ქართული კულტურული ძეგლების აღდგენა - რესტავრაციის საკითხებზე."

ამ შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ თურქეთში საქართველოს ძეგლების რეაბილიტაციის პროცესში საქართველოს საპატრიარქოს ნარმომადგენლებიც ჩაერთვებიან. ქართულ პრესაში გავრცელდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის, მარინე მიზანდარის განცხადებაც, რომელიც გაჟღერდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან გამართული შეხვედრის შემდეგ. ქ-ნ მიზანდარის თქმით: იშხანისა და ოშკის რეაბილიტაციის პროექტებზე მუშაობა თურქული მხარის მიერ უკვე დაწყებულია. შეგახსენებთ, რომ ჩვენი გაზეთის პირველ ნომერში თქვენ უკვე გაგაცანით ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ნარმომადგენელთა კომენტარები.

- ,,დაფინანსება თურქული მხარიდან მოდიოდა. ამდენად ვფიქრობთ, რომ უფრო ლოგიკური იქნება ამ პროცესში ქართულმა მხარემ გამონახოს დაფინანსება", -აღნიშნა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილემ. რაც შეეხება მეჩეთის აშენებას ბათუმში, ამ საკითხს საქართველოში დაბრუნების შემდეგ ერთ-ერთ სამთავრობო სხდომის დაწყებამდე საგარეო საქმეთა მინისტრი, ქალბატონი მაია ფანჯიკიძე შეეხო. ეს ფაქტი კულტურის მინისტრმაც დაადასტურა.

- ,,ინფორმაცია, თუ სად აშენდება მეჩეთი, არ ვიცით, მთავარია, პრინციპული შეთანხმება მოხდა აზიზიესთან დაკავშირებით. ჯერჯერობით, თავს ვიკავებთ, მაგრამ ახალი მეჩეთი აშენდება," - აღნიშნა ბატონმა გურამ ოდიშარიამ.

ამ ეტაპზე ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, ეს მეჩეთი აზიზიეს სახელობის იქნება თუ არა, ან კონკრეტულად სად აშენდება იგი,- ჯერ დადასტურებული არ არის. მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება სპეციალისტებისა და რელიგიური სფეროს წარმომადგენელთა ორივე მხარის მოსაზრებაც.

ამ თემაზე კომენტარი ჩვენი გაზეთის სახელით ვთხოვეთ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ ბუბა კუდავას:

- მოგეხსენებათ, რომ საქართველოში არის ისლამური კულტურის ძეგლები, მართალია, არა იმ რაოდენობითა და ხარისხის, რაც ქართული ძეგლებია ტაო-კლარჯეთში, მაგრამ ისინი უდაოდ არიან. ჩემი აზრით, თურქებმაც უნდა იზრუნონ ქართულ ძეგლებზე და ქართველებმაც თავის მხრივ, ასევე უნდა მოუარონ ისლამური კულტურის ნიმუშებს საქართველოს ტერიტორიაზე, ეს არის ორივე ერის ვალდებულება და პასუხისმგებლობა ერთმანეთის წინაშე.

იმისთვის, რომ პუბლიკაცია უფრო სრულყოფილი იყოს, ორივე მხარის სასულიერო პირთა პოზიციასაც წარმოგიდგენთ. სრულიად საქართველოს მუფთი, ბატონი ჯემალ პაქსაძე:

- "ახალ მეჩეთს ბათუმში მრეული დაადგინებსებს, ეს არ იქნება არც აზიზიეს და არც არავინი სახელობის. ეს იქნება მუსლიმანური სამლოცველო, რომელიც აშენდება ქართული არქიტექტურული ნიმუშების მიხედვით".

როგორც ცნობილია, საპატრიარქო ამ თემაზე ოფიციალური კომანდატარისგან თავს იკავებს. ასე რომ, საკუთარი აზრის გამოთქმა ვთხოვეთ სრულიად საქართველოს მონარქისტული კავშირის წინამძღვარს სამების საკათედრო ტაძრის დიაკონს, მამა ელიზბარ დიაკონიძეს. ჩვენთან საუბარში მან ბრძანა:

- "ვიცი, რომ საპატრიარქო თანახმაა, ოშკი და ხახული არ დაინგრას. მაგრამ ამის სანაცვლოდ რას მივიღებთ? თურქებმა უნდა ილოცონ აქ აშენებულ მეჩეთში, მაგრამ ჩვენ მოგვცემენ ტაო- კლარჯეთის ეკლესიებში ნირვა-ლოცვის უფლებას? ოშკს და იშხანს რომ აღვადგენთ, კარგია, მაგრამ იციდთ, რომ ხახულსა და ანყურში მეჩეთია გახსნილი?!. ჩვენც გვინდა ქრისტიანული კერები გამრავლდეს, ისევე როგორც მათ სურთ ისლამური მეჩეთების რაოდენობა გაიზარდოს. მე აჭარელი ვარ და კარგად ვიცით, რომ ქრისტიანობა საქართველოში ამ კუთხიდან შემოვიდა. გახსოვთ, აჭარაში აზიზიეს ტაძრის მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო ტალღა რომ აგორდა? ამ პროტესტს ბათუმის მიტროპოლიტი დიმიტრი და სხალთის მთავარეპისკოპოსი სერაპიონი ედგნენ სათავეში. ეს იმას ნიშნავდა, რომ ძირძველი აჭარა თავის შეხედულებას ასე გამოხატავდა. რაც შეეხება, საქართველოს მთავარი მუფთის ბატონი ჯემალის მოსაზრებას, რომ მეჩეთს ბათუმში მრეული ააშენებს,- მე კარგად ვიცი, აჭარელ გლეხს დღეს ძალიან უჭირს, მათ ცოლშვილი ვერ გამოუკვებავთ და ვეჭვობ, მეჩეთის ასაშენებელი ფული ჰქონდეთ. მოკლედ, კარგი იქნება, თუკი თურქეთში არსებულ ეკლესიებში ნირვა-ლოცვის ჩაბარების უფლებას მოგვცემენ, ისევე როგორც საქართველოში აშენებულ მუსლიმანურ მეჩეთებში ლოცულობენ."

ჩვენთვის არ არის ცნობილი, ისაუბრეს თუ არა საქართველოსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრებმა თურქეთში არსებულ ქართულ ეკლესია - მონასტრებში ნირვა-ლოცვის ჩაბარების შესაძლებლობებზე.

ტაო-კლარჯეთის მკვლევარმა ისტორიკოსმა ირინე გიგიაშვილმა "TG Life"-თვის მიცემულ ინტერვიუში გაიხსენა: - "თურქეთის ნარმომადგენლებმა ჯერ კიდევ 2010 წელს, როცა მოლაპარაკებებს საქართველოს საგარო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ანარმოებდა, დადებითი პასუხი ამ თხოვნაზე უკვე მოგვცა. მაშინ თურქულმა მხარემ გამოაცხადა, რომ ეკლესია-მონასტრებისთვის რესტავრაციის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ არც ნირვა-ლოცვის ჩატარება იქნებიდა პრობლემა. მაგრამ მანამდე, აუცილებელია, რომ ისტორიულ შენობა-ნაგებობებს რეაბილიტაცია ჩაუტარდეს. რის შემდეგაც გამოთქვამდა იმედს, რომ მოლაპარაკებები ამ მხრივაც წარმატებით გაგრძელდება და ქართველ მრევლს ოშკსა და იშხანში ნირვა-ლოცვის საშუალება მიეცემა. ეს კი ტურიზმის გაფაართოების კიდევ ერთი გზა იქნება, - ისეთივე როგორც თურქეთისთვისაა მარიამის ეკლესია ეფესოში ან ნიკოლოზის ეკლესია მირაში, რომლებსაც დღეს უამრავი პილიგრიმი სტუმრობს."

ამ საგაზეთო პუბლიკაციისთვის აუცილებლად მივიჩნიეთ ბათუმელების აზრიც გაგვეგო. ბათუმში ერთმანეთის გვერდით განსხვავებული რწმენის ადამიანები სახლობენ, ამიტომ მათი აზრი ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში ახალი მეჩეთის აშენების შესახებ ალბათ საინტერესო იქნება. მათ მოსაზრებას კომენტარის გარეშე გთავაზობთ.

ლია მორჩილაძე, ბათუმელი მართლმადიდებელი:

— ქალბატონო ლია! როგორი ურთიერთობა გაქვთ სხვადასხვა რელიგიური რწმენის მქონე ქართველებთან?

- ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. მე ბათუმურ ეზოში ვცხოვრობ, სადაც მეზობლად განსხვავებული რწმენის ქართველები მყავს. მე არ მახსოვს, რომ რელიგიური განსხვავების გამო კამათი მოგვსვლოდეს ერთმანეთში. ჩვეულებრივად ვულოცავთ-ხოლმე ერთმანეთს რელიგიურ დღესასწაულებს. რადგან პატივს ვცემთ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა თუ რა რწმენას ვემსახურებით. ღმერთი ხომ ერთია ყველასთვის?!.. ქრისტიანი მეზობლები მუსულმან ქართველებს ყურბან-ბაირამს ულოცავენ, ისინი კი ჩვენ გვილოცავენ აღდგომის დღესასწაულს და შობას. მე ქრისტნიანი ვარ, ამიტომ ეკლესიაში ვლოცულობ და მარხვასაც ვიცავ. ჩვენი ყველა დილა როგორც ბათუმში ხდება ხოლმე, ყავის სმით იწყება. ხან ისინი გვეპატიჟებიან თავისთან, ხან ჩვენ ჩვენთან, ყავასთან ზოგჯერ მუსულმანურ ტკბილეულსაც მოგვართმევენ ხოლმე, უფრო ხშირად ხალვას.

- მოძღვარო რა აზრისაა, შეიძლება თუ არა მუსულმანური საკვები რომ მიიღოთ?

- მოძღვართან გვქონდა ამის შესახებ საუბარი და მან გვითხრა, რომ პირჯვარი გადაიწერეთ და ისე მიირთვით, არ არის პრობლემაო. პარასკევი დღეს მუსულმან ქართველებში ჯუმა ჰქვია, ამ დღეს ისვენებენ ხოლმე და ეს ყველამ ვიცით, ამიტომ ჩვენთან ვეპატიჟებით მათ.

მაგული თავდგირიძე, ბათუმელი მუსულმანი: მე სულით-ხორცამდე ქართველი ვარ. მაგრამ რწმენით მუსულმანი. რა თქმა უნდა, უნიგნური არ ვარ, კარგად ვიცი ჩემი ქვეყნის ისტორია. იყო დრო, როცა 300 წელი ბატონობდნენ ჩვენზე მუსულმანები, ამიტომ რა გასაკვირია, რომ ჩემმა წინაპრებმა რწმენა შეიცვალეს. მე შვილშვილები მყავს, რომლებიც ქრისტიანულად მოინათლნენ, მაგრამ წინააღმდეგ არ ნავსულვარ, რომ ისინი ქრისტიანულად მონათლულიყვნენ. მე კი ეს ვერ შევძელი,- ვერ ვუღალატე ჩემს რელიგიას. ჩემი აზრი ასეთია, რა თქმა უნდა, მეჩეთი უნდა აშენდეს. მით უფრო, თუკი ამით ჩვენ ტაოს შევნარჩუნებთ! თურქეთში ბევრი ქრისტიანული ძეგლია და ჩვენ აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ მათზე. რაც შეეხება, მეჩეთს არის ბათუმში მეჩეთი, მაგრამ მლოცველები იმდენია, რომ იქ ვერ ეტევიანან. სახლებშიც რომ არის კერძო მეჩეთები იმათ არ ვგულისხმობ. წარმოიდგინეთ, თქვენი მრევლი რომ ვერ ეტევიდეს ეკლესიაში, ხომ აამენებთ ახალ ეკლესიასა? ჩემი აზრით, მეჩეთი არა ბათუმში, არამედ ქალაქგარეთ უნდა აშენდეს, რადგან მოლა ლოცვას მეგაფოონში ხმამაღლა კითხულობს და ამით მოსახლეობა არ უნდა შეწუხდეს. ამიტომ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად სჯობია, რომ მეჩეთი ქალაქგარეთ აშენდეს.

— ნათია მიქელაძე: მე 23 წლის ვარ, ბათუმში ვცხოვრობ. ჩემი წინაპრები მუსულმანური რელიგიის მსახურები არიან, მე კი ქრისტიანულად მინდა რომ მოვინათლო. ისინი წინააღმდეგი არ არიან, რადგან თვლიან, რომ ეს ჩემი არჩევანია. ბაბუა ხშირად მეუბნება, რომ ჩვენ ტრადიციულად ქრისტიანები ვიყავით,მე მოხუცი ვარ, ამიტომ უკვე გვიანია რწმენა შევიცვალო, მაგრამ შენ ისე უნდა მოიქცე, როგორც შენი გული გიკარნახებს, რადგან ღმერთთან მართალი უნდა იყოო. რაც შეეხება, ტაო კლარჯეთს, ამ ზაფხულს ანტალიაში ვიყავი ექსკურსიაზე და ჯამეს გვერდით ერთ ადგილას ძველი ქრისტიანული ტაძარი იყო. ჩემი თვალით დავინახე, როგორ გამოვიდა ლოცვის შემდეგ ხოჯა თავისი სამლოცველოდან, როგორ შევიდა იმ ტაძარში და როგორ დაალაგა და დასსუფთავა. როგორც შევიტყვე, ის ხოჯა სულ ასე პატრონობს თურმე ამ ტაძარს. როცა გამოველაპარაკე, ასე ამიხსნა: როცა ქრისტიანი სტუმრები ჩამოდიან, ყოველთვის აქ შემომყავსო. ტურისტებს სულ ვსაყვედურობ, როცა აქ ქალაღლს ან რამეს დააგდებენო. რა ვიცი, ჩემი აზრით, ტაო-კლარჯეთის გადარჩენა დღეს ყველაზე მთავარი უნდა იყოს და ამისთვის ყველაფერზე უნდა ნავიდეთ.

ამ პუბლიკაციით, რა თქმა უნდა, ტაო-კლარჯეთზე საუბარს არ ვამთავრებთ, რადგან მის გაშუქებას მომავალშიც ვაპირებთ. ობიექტურობისთვის კი გპირდებთ, რომ ტრადიციულად კვლავაც ორივე მხარის პოზიციას წარმოგიდგენთ. მთავარია, საქმე, რომელიც ფაქტიურად ადგილიდან დაიძრა, მოთმინებით გავაგრძელოთ და ღირსეულად მივიყვანოთ ბოლომდე.

მზია გოგნაშვილი

MÜSLÜMAN MESKHETLERIN TARIHI VATANLARINA DÖNMELERI NEDEN GECIKTIRILIYOR?

1999 yılında avrupa konseyine katılırken, Gürcistan hükümeti avrupa konseyi karşı 1944 yılında Adigeni, Akhaltsikhe, Aspindza, Akhalkalaki ve Bogdanovka illerden, ve Ajara'dan sürgüne gönderilen vatandaşların ülkesine geri dönme amacı ile 2001 yılı için yasal düzenlemeleri hazırlama sorumluluğunu aldı. Geri dönme süreç 2002 yılında başlayarak 2011 yılında bitecekti ancak, 2005 yılında Gürcistan'da olan sorunlardan dolayı avrupa konseyin aldığı kakrı ile geri dönme süreci 2013 yılına kadar üzatıldı. Gürcistan parlamentosu geçen yüz yılın 40lı yıllarda zorla sürgüne gönderilen vatandaşların vatanlarına geri dönme yasal düzenlemeyi, 11 temmuz 2007 yılında yaptı, bu da 2008 yılından itibaren müslüman meskhetleri yada onların torunlarını vatanlarına geri dönme sürecini kapsayıyordu, ne yazıkki müslüman meskhetlerin tarihi vatanlarına dönebilmeleri için, ne gerekli para bulunabildi nede gerekli ekonomik yada siasi hava oluşturulabildi.

Uzmanlara göre, meskhetlerin geri dönme kanunu sadece yasal dayanağıdır ve biyürokratik zorlukları oluşturuyor, buda sürecin işleişini geciktiriyor. Yıllar boyunca, sınır dışı edilen meskhetlerin durum siyasi spekulasyonların ve anti meskhetler kampanya konus ıdı. Vatanlarına geri dönme konusunda olumsuz etki yaratan bir sürü faktörlerden bahs ediyorlar: ülkenin zor ekonomik ve siyasi durumu, demografik dengenin bozulma tehlikesi, Ermeniler ve Müslüman Meskhetler arasında oluşabilecek çatışma ve en önemlisi de ülkenin içinde 300 binden daha fazla zorla göç ettirilen vatandaşların olması.

"Gül devrimiyle" gelen hükümet müslüman meskhetlerin geri dönmelerini belirtilen tarihlerde gerçekleştiremedi ve gecikmekten dolayı Şevardnadze dönemindeki hükümeti suçladı, sorumluluğu "Gül devriminden" sonra gelen hükümet değil, Eduard Şevardnadze'nin hükümeti aldı, ve gerekli yasal düzenlemelerin olşturması için hiç birşey yapmadılar, kanun ancak 2007 yılında alınabildi. Sürecin geciktirme ile ilgili halkın yönetimden şikayetlerini inceleyen görevli de endişesini dile getirdi – geri dönme statüsünü arayanların başvuruların incelemesinin yavaş olması ve aynı zamnda kanunda olan hatalara da dikkat çekti. Zamanında halkın yönetimden şikayetlerini inceleyen Giorgi Tughuşi kendi raporunda avrupa konseyi tarafından 26 ocak 2012 yılında bilgi amaçla verilen notayı da kulandı, notada Gürcistan hükümeti tarafından Meskhetlere layik geri dönme stratejinin olmamasından bahs ediliyordu.

Bununla beraber raportan anlaşılıyor ki Gürcistan'ın işgal edilmiş bölgelerden zorla göç ettirilenler hakkında, konaklama ve mülteciler bakanlığı, geri dönme statüsünü arayan şahısların dilekçelerin görüşmesi de bitmemiş. Resmi bilgilere göre geri dönme statüsünü kazanma isteğile bakanlığa 6 bin kişi başvurmuş, bakanlık ise sadece 350 dilekçey görüşmüş.

Geri dönmeye destek uluslar arası vakıf Temur Lomsadze'nin ifadesine göre, görüşme sürecini statüsünü arayanların tamamlanmamış dilekçeler geciktiriyor: çok belgeler var ve onları elde etmek zor. Geri dönme isteğin bu kadar az olmasının sebebi de bu.... açıktır ki geri dönme isteyenler daha çok ancak, halkın yönetimden şikayetlerini inceleyen görevlinin raporunda yazıldığına göre, belirtilen süreci belirli sübjektif faktörler geciktiriyor: geri dönme statüsünü kazanmak için dilekçeyi görüşme süresi hiç bir belgede belirtilmiş değil. Bunun haricinde geri dönme statüsünü arayanlar etkili yasal korunma haklarındanda yoksunlar ve statüsü ile ilgili alınan kararları itraz edebilmeleri için mahkemelere ulaşamıyorlar. Aynı zaman belli oluyor ki statüsünden kaynaklanan her hangi bir sosyal yardım programı da yok. Mesketlerin andalndırılma konusu da önemlidir. Gürcü toplumun bir kısmı onları "Türk Meskhetliler" adı ile tanıyorlar buda yanlış. Terim tarihi gelişmelerden dolayı oluştu. İnsan haklarını koruyan inisiyatif grup, kendi basılan gayriresmi "Saqartvelos moambe" dergisinde bu konuyu ve Gürcistan'dan meskhetlerin sürgün konusunu aktif olarak basıyordu. Merab Kostava onları Türkler olarak yanlış adlandırılan meskhetler diye adlandıryordu, bunlar aslında, bir zamanlar eski Yunanlıların meskhetiler olarak tanıdıkarlı eski Gürcü kavimlerin torunlarıyidi ve onların kaynaklara göre de pitagoranın kendisinin de bunlardan bilgiyi ediniyordu. Sonradan samtskhe – saatabagonun büyük idareyi oluşturdular ve güney sınırları areze nehrine kadar dayanıyordu. "mekhetliler Davit Kurucunun ve kraliçe Tamaranın en önemli sparezlerden birileriydiler ve onlardan iberiya orduların komutanları seçiliyordu. Seçilmiş bölgeyidi, Grigol Khandzteli'nin ve Giorgi Merçule'nin yaratıcılığın yerküresidi, ahiret yeridi keşişleri için, Rustaveliyi doğuranidi, Ioane ve Giorgi Mtatsmindelinin, Beqa ve Beşken Opizrelin, İvane ve Şalva Akhaltsikellilerin v.d. onlara Türk denebilmesi için, değirmen taşı dönmeliyid bu halkın başına,"

XVI yüz yılında Türkler işgal ettiler Samtskhe – Saatabagoyu, onların kahramanca savaşmalarına rağmen üç yüz yıl içinde meskhetleri müslümanlaştırmayı başarabildiler.

Tamda meskhetlerle başlandı Rusların acımasız politikaları ve bugün de devam eden Gürcistan asimilasyonu. Rus hükümeti uyruğu dinden kasten ayırmadı ve müslüman Gücüleri Türk olarak ilan etti. 1829 yılında Gürcistan'ın baş yönetmen paskeviçin

eli ile o Javakhet – Samtskhe bölgesinden müslümanlaşmış bir sürü Gürcüyü Türkiye'ye sürdü, ve onların yurtlarına Kars'tan 30 bin Ermeniyi yerleştirdi. Ama anti – Gürcü faliyelerle geri kalan meskhetleri de iyi durumda brakmadı. Rusya hükümeti 1900'lü yıllarda Akhlatsikheli Gürcü müslümanlar için Türk okulları açtırdı, bunlarda 1930 yılına kadar vardı ve 1930 yılında Soviyet hükümeti müslüman Gürcülere Gürcü okulları yerine Azeri okulları açtı, toplumun büyük bir çoğunluğun Gürcü olmasısna ve Gürcü okulları istemesine rağmen. 15 Kasım 1944 yılın gecesi Soviyet hükümeti güney Gürcistan'ın birkaç ilinde çok gizli operasyon düzenledi. On binlerce insanı yük vagonlara atarak orta asyanın yoluna koydular. Onlar arasında Türk olarak kabul edilen müslüman Gürcüler de vardı. Uzmanların bir kısmı düşünüyor ki, Gürcistan'da bu kadar terk edilmiş köy varken Gürcistan'a daha çok ihtiyacı var meskhetlerin meskhetlere göre. Bundan dolayı devlet onların getirilmesi ile uğraşmalı. Kimlik teşhisi ile kendileri de ilgileniyorlar. Bunun için gerekli ise tamamlanmış iyi düşünülmüş devlet politikasına ihtiyaç var ve bu insanlar çok kısa süre içinde entegre olurlar.

Yeniden entegre olma konusunda Gürcistan devlet bakanı Paata Zakareişvili Gürcistan paralmentosunun geri dönme konusunda almış olduğu kanun bugüne kadar etkisiz olduğuna dikkat çekti. Tüm konulara ciddi şekilde yaklaşmaya çalışacağız. Kanunla belirlenmiş tum hüsüslarını gerçekleştireceklerini ifade etti. Bu kanun milliyetçi partisinin aldığı kanun değil, bu kanunu devlet aldı, ve biz kesin olarak tüm hüsüları uygulamaya çalışacağız.

kafkasiya konularında uzman Mamuka Areşidze:

bu kanunun sadece formalite olduğunu düşünmüyorum, düşünüyorum ki bu kanunun kabulu olumluydu, ancak kanunu gerçekleştirme süreci engellerle doluydu, birinin bu konuyu çözmesini istemediğinden yada önemsemediğinden dolayı değil, bazı kötü niyetlilerin olamsıydı. Kanunu uygulamak için bir sürü engeli oluşturdular, ancak bu engeller bile o kadar korkutucu değildi.

Hatırlıyorum geri dönmek isteyenler kontöllerin zor aşamalardan şikayet ediyorlardı. Ülkeye bu kadar büyük kütlenin geldiğinde bunların kim olduklarini bilmek zorundasın. İkinciside sürelerden şikayet edyorlardı, belgeleri toplayabilmemiz için kısa süre verildi diye. Kısa süre değildi hatırladığım kadarı ile bir yada iki yıl verilmişti, ve bunu yapamayacakları kadar imkansız hiç birşey yoktu.

Bence bu konuya düzensiz ve istifaflı yaklaşımdan doalyı şüpheleri oluştu.

- Böyle yaklaşım kimden geliyordu? Hükümetten mi?

- Belkide bu konudan sorumlı yetkililerden. Geri dönme kurumun gerktiği gibi çalıştığına ve köklü sorunları çözebildiklerini sanmıyorum.

Bu konu ile ilgili yeni yaklaşımlara ihtiyaç var. Bence yeni kurumun kurulması gerekiyor, burda da geri dönenler reabilitasyon ve adaptasyon kursunu görecekler. Bu sürec kendi başına bıraklımıştı ve avrupa kurumların bizden bekledikleri sonuçlar alınamadı.

Zoya Artişeviç

რატომ ფერხდება მაჰმადიან მესხთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება?

1999 წელს, ევროსაბჭოში გაწევრიანებისას, საქართველოს ხელისუფლებამ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე 1944 წელს ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკას რაიონებიდან, ასევე აჭარის ასსრ-დან გასახლებულ მოქალაქეთა რეპატრიაციის მიზნით, 2001 წლისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულება აიღო. რეპატრიაციის პროცესი 2002 წელს უნდა დაწყებულიყო და 2011 წლისთვის დასრულებულიყო, თუმცა 2005 წელს საქართველოში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ევროსაბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც რეპატრიაციის პროცესის დასრულება 2013 წლამდე გადაავადა. საქართველოს პარლამენტმა გასული საუკუნის 40-იან წლებში იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ კანონი 2007 წლის 11 ივლისს მიიღო, რომელიც 2008 წლიდან მაჰმადიანი მესხების, ან მათი შთამომავლების რეპატრიაციისთვის საჭირო პროცედურების დაწყებას ითვალისწინებდა, მაგრამ სამწუხაროდ, მაჰმადიან მესხთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისთვის არც საჭირო თანხა გამოინახა და არც შესაბამისი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ამინდი ქვეყანაში.

საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი / Gürcistan devlet bakanı Paata Zakareishvili

ექსპერტების თქმით, კანონი მესხების დაბრუნების მხოლოდ იურიდიული საფუძველია და ქმნის ბიუროკრატიულ სიძნელეებს, რაც აფერხებს პროცესის მიმდინარეობას.

წლების განმავლობაში დეპორტირებული მესხების თემა პოლიტიკური სპეკულაციისა და ანტიმესხური კამპანიის საგანი იყო. ასახელებენ მრავალ ფაქტორს, რაც უარყოფით გავლენას მოქმედებს რეპატრიაციის პროცესზე: ქვეყნის რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, დემოგრაფიული ბალანსის დარღვევის საფრთხეს, შესაძლო ეთნიკურ კონფლიქტს სომხებსა და მაჰმადიან მესხებს შორის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქვეყნის შიგნით 300 ათასზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირის არსებობას.

„ვარდების რევოლუციით" მოსულმა მთავრობამ მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციის განსახღვრულ ვადებში ვერ განხორციელება და შეფერხება შეგარდნაძის მთავრობას გადააბრალა, ვალდებულებები არა ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ, არამედ ედუარდ შევარდნაძის მთავრობამ აიღო, ხოლო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მექმნისთვის არაფერი გააკეთა, კანონის მიღება მხოლოდ 2007 წელს მოხერხდაო.

პროცესის გაჭიანურებით შეშფოთება გამოხატა ომბუდსმენმაც — რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების განხილვის დაბალ ტემპსა და მაჩვენებელზე, ასევე კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებზე გაამახვილა ყურადღება. თავის დროზე ყოფილმა ომბუდსმენმა გიორგი ტულუშმა ომბუდსმენის ანგარიშში მოიშველია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 იანვრის საინფორმაციო ნოტა, რომლის თანახმადაც, საქართველოს მთავრობას არ ჰქონია შემუშავებული მესხების ღირსეული რეპატრიაციისათვის ჩამოყალიბებული სტრატეგია.

ამასთან, ანგარიშიდან ირკვევა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ჯერ კიდევ არ დაუსრულებია რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების მსურველთა განაცხადების განხილვა. ოფიციალური ინფორმაციით, რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების თხოვნით, სამინისტროსთვის 6 ათასამდე პირს მიუმართავს, სამინისტროს კი მხოლოდ 350-მდე აპლიკაცია განუხილავს.

რეპატრიაციის ხელშეწყობის საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელის თემურ ლომსაძის თქმით, განხილვის პროცესს სტატუსის მაძიებელთა არასრულყოფილი აპლიკაციები აფერხებს: საბუთები ბევრია, რთულია მათი მოპოვება. ამიტომაა დაბრუნების მსურველთა მცირე რაოდენობა...

ცხადია, რეპატრიაციის მსურველი გაცილებით მეტია, თუმცა, როგორც სახალხო დამცველის ანგარიშშია აღნიშნული, პროცესს რამდენიმე სუბიექტური ფაქტორი აფერხებს: რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად განაცხადის განხილვის ვადები არც ერთ დოკუმენტში განსაზღვრული არ არის. ამის გარდა, რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი პირები მოკლებულნი არიან სამართლებრივი დაცვის ეფექტიან მექანიზმს და, სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის სასამართლოზე ხელი არ მიუწვდებათ. ასევე ირკვევა, რომ სტატუსიდან გამომდინარე, რეპატრიანტებისთვის არ არის გათვალისწინებული რაიმე სოციალური დახმარების პროგრამები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მესხების სახელდების პრობლემა. ქართული საზოგადოების ნაწილი მათ "თურქი მესხების" სახელით იცნობს, რაც არასწორია. ტერმინის წარმოშობა განაპირობა ისტორიულმა პროცესებმა. ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი თვითგამოცემულ არალეგალურ ჟურნალ "საქართველოს მოამბეში" აქტიურად აშუქებდა ამ თემასაც და საქართველოდან მესხთა გადასახლების საკითხსაც.

მერაბ კოსტავა მათ თურქებად შეცდომით სახელდებულ მესხებად მოიხსენიებდა, რომელნიც სინამდვილეში იმ უძველესი ქართული ტომის შთამომავლები არიან, ოდესღაც ძველი ბერძნები მესხების სახელით რომ იცნობდნენ და რომლებთანაც, მათივე გადმოცემით, თავად პითაგორა ეუფლებოდა სიბრძნეს. მათგან ჩამოყალიბდა შემდგომში სამცხე-საათაბაგოს დიდი სამთავრო, რომლის საზღვარი სამხრეთით მდინარე არეზს ემიჯნებოდა. „მესხნი იყვნენ დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის უპირველესი სპარზენნი, რომელთაგან აღირჩეოდა სპასალარი იბერთა მხედრობისა, ათაბაგად წოდებული. გამორჩეული იყო კუთხე იგი, სამოღვაწეო გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულესი, მრავალთა ღირსთა მამათა სავანე, მშობელი რუსთველისა, იოანე და გიორგი თმანმინდელებისა, ბეკა და ბეშქენ ოპიზრებისა, ივანე და შალვა ახალციხელთა და ა.შ. წისქვილის დოლაბი უნდა დატრიალებულიყო ამ ხალხის თავს, მათთვის თურქნი რომ ეწოდებინათ."

XVI საუკუნეში თურქთა წარიტაცეს სამცხე-საათაბაგო და გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, სამას წელიწადში მაინც შეძლეს მესხების გამაპმადიანება.

სწორედ მესხებით დაიწყო რუსეთის ვერაგული პოლიტიკა, მიზნად რომ ისახავდა და ამჟამადაც ისახავს საქართველოს ასიმილაციას. რუსეთის მთავრობამ გაწგებ აღარ გამოარჩია ეროვნება სარწმუნოებისაგან და მაჰმადიანი ქართველები თურქებად შერაცხა. 1829 წელს, საქართველოს მთავარმართებელს, პასკევიჩს ხელით მან ჯაჯახეთ-სამცხის ტერიტორიიდან აჰყარა და მრავალი გამაპმადიანებული ქართველი თურქეთში გადაასახლა, ხოლო მათ სამკვიდრებელში ყარსიდან 30 ათასი სომეხი შეასახლა. მაგრამ ანტიქართული ღონისძიებებით არც დარჩენილი მესხები ჩაუგდია უკეთეს დღეში. რუსეთის მთავრობამ 1900-იან წლებში ახალციხის მხარის ქართველი მაჰმადიანებისთვის თურქული სკოლები გაახსნევინა, რომელნიც 1930 წლამდე არსებობდნენ, ხოლო 1930 წელს უკვე საბჭოთა მთავრობამ ქართულის ნაცვლად აზერბაიჯანული სკოლები გაუხსნა მაჰმადიან ქართველებს, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობა ქართულად მეტყველებდა და ქართული სკოლების მსურველი იყო.

1944 წლის 15 ნოემბრის ღამეს, საბჭოთა ხელისუფლებამ სამხრეთ საქართველოს მრავალ რაიონში მკაცრად განაიღოლოფული მასშტაბური ოპერაცია ჩაატარა. ათეულობით ათასი ადამიანი საგზაო მატარებლში შეყარეს და შუა აზიის გზას გაუყენეს. მათ შორის უმრავლესობა თურქებად მიჩნეული მაჰმადიანი ქართველი იყო.

ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ როდესაც საქართველოში ამდენი მიტოვებული სოფელია, საქართველოს უფრო სჭირდება მესხები, ვიდრე მესხებს საქართველო. ამიტომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათ ჩამოყვანაზე. თვითიდენტიფიკაციის საკითხი მათაც აინტერესებთ. ამისათვის საჭიროა სრულყოფილი, კარგად გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკა და ეს ადამიანები ძალიან სწრაფ ინტეგრაციას მოახდენენ.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი რეპატრიაციის შესახებ აქამდე უფუნქციო იყო. ვეცდებით ყველა საკითხს სერიოზულად მივუდგეთ. რაც კანონით დადგენილია, ყველა პუნქტი შესრულდება, — დასძინა მან. ეს არ არის ნაციონალების მიღებული კანონი, ეს სახელმწიფომ მიიღო, და ჩვენ აუცილებლად შევეცდებით, რომ ყველა პუნქტი შესრულდეს.

მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:

„ვერ ვიტყვი, რომ მთლად ფორმალური იყო ეს კანონი, ვფიქრობ, რომ მისი მიღება დადებითი მომენტი იყო, თუმცა კანონის განხორციელების პროცესი იყო ძალიან წინააღმდეგობებით აღსავსე, არა იმიტომ, რომ ვიღაცას არ უნდოდა ამ საკითხის გადაწყვეტა და იგი მნიშვნელოვნად არ ეჩვენებოდა, არამედ იმიტომ, რომ მავანს აგდებული ილ დამოკიდებულება ჰქონდა. კანონის განსახორციელებლად მრავალი ბარიერი აღმართეს, თუმცა ბარიერებიც აქ იყო იმდენად სერიოზული და შემაფერხებელი წინააღმდეგობა.

მახსოვს რეპატრიანტები უჩიოდნენ შემოწმების ძალიან რთულ პროცესს. როცა ქვეყანაში ამხელა მასა შემოდის, აუცილებლად უნდა იკოდე, ვინ არიან ისინი.

მეორე — ვადებს უჩივიან, მოკლე დრო იყო საბუთების შესაგროვებლადო. არ იყო მოკლე ვადა, როგორც მახსოვს, ერთი თუ ორი წელი იყო, და შეუძლებელი არაფერი იყო, რომ ეს ვერ გაეკეთებინათ.

ჩემი აზრით, ამ საკითხის მიმართ არაორგანზებულობამ და აგდებულმა დამოკიდებულებამ უფრო დაბადა ეჭვები.

— ვისგან იყო ასეთი დამოკიდებულება? ხელისუფლებისგან?

— ალბათ იმ ჩინოვნიკების მხრიდან, ვისაც ეს საქმე ჩააბარეს. არ ვთვლი, რომ რეპატრიაციის სამსახური სათანადოდ მუშაობდა, რომ ფუნდამენტური საკითხის გადწყვეტა შეეძლო.

ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი მიდგომებია საჭირო. ეფიქრობ, უნდა შეიქმნას ახალი დანესებულება, სადაც რეპატრიანტები გაივლიან რეაბილიტაციის, ადაპტაციას კურსს. ეს მიშვებული იყო თვითდინებაზე, და ვერ მივიღეთ ის შედეგი, რასაც ჩვენგან ევროპული სტრუქტურები მოითხოვდნენ.

ზოია არტიშევიჩი

„პატიმრის ოჯახს უფლება აქვს, იცოდეს, რა პირობებში იმყოფება მისი ოჯახის წევრი ციხეში“

საქართველოში ამ ბოლო დროს განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა ამნისტიამ უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულების ოჯახის წევრებსა და ახლობლებში კითხვები დაბადა. მათ აინტერესებთ რა სიახლეებია სასჯელაღსრულების სისტემაში, როგორ უნდა დაამყარონ სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობასთან კომუნიკაცია, როგორ უნდა დაუკავშირდნენ ბრალდებულს/მსჯავრდებულს? საქართველოს კანონმდებლობა ხომ არ კრძალავს მათთვის რაიმე სახის შეზღუდვებს? ამ მიზნით ინტერვიუ ვთხოვეთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ავთო მიქანაძეს:

_ ბატონო ავთო, უნინ ყოფილა თუ არა და ხომ არ იგეგმება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ამნისტია ან შეწყალება?

— ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონი შესაძლებელია გავრცელდეს უცხო ქვეყნის იმ მოქალაქეებზეც, რომლებიც საქართველოს კანონით არიან გასამართლებულნი. კანონმდებლობით რაიმე სახის შეზღუდვა არ არის დაწესებული, რომ ამნისტიის გავრცელება აკრძალულია უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. შესაბამისად, ამგვარი მიდგომა საკმაოდ ჰუმანური იქნება და ამავე დროს კარგი პრაქტიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

_ როგორ ხერხდება უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულების კომუნიკაცია მათ ახლობლებთან?

— უცხო ქვეყნის მოქალაქე ბრალდებულები /მსჯავრდებულები სარგებლობენ ისევე უფლებებით, რითაც საქართველოს მოქალაქე ბრალდებული /მსჯავრდებულები. შესაბამისად, რაიმე სახის შეზღუდვებს კომუნიკაციებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა მათთვის არ ითვალისწინებ-

— საქართველოს პატიმრობის კოდექსით დეტალურად არის განმარტებული უცხო ქვეყნის მოქალაქე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლება, შეუზღუდავად შეხვდნენ თავიანი ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენლებს, ან იმ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოში ითავსებენ მისი ქვეყნის ინტერესების დაცვას. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული /მსჯავრდებული იმ ქვეყნის მოქალაქეა, რომელსაც საქართველოში დიპლომატიური დაწესებულებები და საკონსულოები არ გააჩნიათ, უფლება აქვთ, ჰქონდეთ ურთიერთობები იმ სახელმწიფოთა დიპლომატიურ დაწესებულებებან და საკონსულოებთან, რომლებმაც მათი ინტერესების დაცვა საკუთარ თავზე აიღეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს შეხვდეს დაცველს და ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, საქართველოს ციხეებში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეების ოჯახის წევრებმა სასჯელაღსრულების სამინისტროსთან კომუნიკაცია უნდა დაამყარონ და მსჯავრდებულებთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაციას მიიღებენ.

ბესელია ფიქრობს, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს, ახალ ხელმძღვანელობასთან, დღეს კომუნიკაცია ძალიან იოლია.

დეპუტატის თქმით, პატიმრის ოჯახს უფლება აქვს, იცოდეს, რა პირობებში იმყოფება მისი ოჯახის წევრი ციხეში და როგორ

ბს. ბრალდებულებს /მსჯავრდებულებს გარე სამყაროსთან მუდმივი კონტაქტის უფლება აქვთ. კერძოდ, მათ შეუძლიათ შეხვდნენ ახლო ნათესავებს როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივი პაემნის ფარგლებში. ასევე, საკუთარი ხარჯებით ახლო ნათესავებთან, ან მათთვის სასურველ პირებთან ტელეფონებით დაკავშირების და მათთან პირადი მიმწერების უფლება აქვთ. სატელეფონო ზარების გამო, რაიმე სახის შეზღუდვები არ არსებობს.

ერთი თვის განმავლობაში ბრალდებულს შეუძლია სატელეფონო საუბარი სამჯერ განახორციელოს, თითოეული — არაუმეტეს 15 წუთისა. რაც შეეხება მსჯავრდებულს, დახურული ტიპის დაწესებულებაში მას მხოლოდ სამი სატელეფონო ზარის უფლება აქვს, ნახევრად ღიაში — ოთხი.

მათ შეუძლიათ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში სატელეფონო ბარათების შეძენა, სადაც დარიცხულია გარკვეული ოდენობის თანხა და სატელეფონო ზარის უფლებით სარგებლობა.

ასევე, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიიღოს ან გაუგზავნოს ამანათი და ფულადი გზავნილი ახლო ნათესავებს, ადმინისტრაციის ნებართვით — სხვა პირებსაც.

რაც შეეხება მიღებულ ფულად გზავნილს, მსჯავრდებულს ნაღდი ფულის სახით არ გადაეცემა და ირიცხება მის ან მისივე თანხმობით ახლო ნათესავის პირად ანგარიშზე.

_ ვრცელდება თუ არა რაიმე განსხვავებული ტიპის სამართლებრივი წესები უცხო ქვეყნის მოქალაქე ბრალდებულების /მსჯავრდებულების მიმართ?

არის. მოთხოვნის შემთხვევაში კი ოჯახისთვის ეს ინფორმაცია ღია უნდა იყოს.

"მათ უნდა დაამყარონ კომუნიკაცია სამინისტროსთან და ყველა საჭირო ინფორმაცია მიიღონ. თუ ეს კომუნიკაცია ვერ ხდება, შეიძლება ამას რამე სხვა მიზეზები აქვს, მაგრამ სასჯელაღსრულების სამინისტროსთან მუშაობს ის სამსახური, რომელიც აწვდის ინფორმაციას დასაშვებ ფარგლებში.

პატიმრის შესახებ კოდექსით ინფორმაციების მიწოდება შეზღუდულია, მაგრამ ოჯახის წევრებს, რომლებიც ქვეყნის გარეთ იმყოფებიან, გარკვეული დოზით ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ", — აღნიშნა ბესელიამ.

მისივე თქმით, პატიმრის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი გზა ადვოკატია, რომელსაც ციხეში შესვლა და მსჯავრდებულის მონახულება შეუძლია, მეორე კი ალბათ საინფორმაციო სამსახურია, რომელიც საჭიროების დროს ქვეყნის გარეთ მყოფი პატიმრების ოჯახებს ეხმარება.

დეპუტატის თქმით, საქართველოში გახორციელებული ფართომასშტაბიანი ამნისტია როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ისე ქართულ ციხეებში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც შეეხებათ.

